MES 5 23 0001485313

02/11/2023

„კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ფარგლებში მე-2 საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)" აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის №1242838 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 09 მარტის №338 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)" (პროგრამული კოდი 32 08; შემდგომში - პროგრამა) მე-4 და მე-5 მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 02 ივნისის №582615 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელოს" 10.1 ქვეთავის და „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მართვის სახელმძღვანელოს" ფარგლებში გრანტების გამცემი და საჩივრების განმხილველი კომისიების შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 ივლისის №844623 ბრძანებით შექმნილ გრანტების გამცემ კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) ფარგლებში მე-2 საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის №1242838 ბრძანებაში და ბრძანების მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. კონკურსის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 28 სექტემბერი, ხოლო კონკურსის დასრულების თარიღად - 2023 წლის 11 დეკემბრის 23:59 საათი.".

2. დაევალოს პროგრამის ადმინისტრაციულ მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და
ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“
აღმასრულებელი დირექტორი
თამარ სანიკიძე